

# მეხორცული საქონლის კონცენტრატი



## რა არის HENDRIX მეხორცული საქონლის კონცენტრატი?

Hendrix მეხორცული საქონლის კონცენტრატი არის მაღალპროტეინოვანი დანამატი, რომელიც გამოიყენება სახორცე პირუტყვის გამოსაზრდელად „ტრადიციულ“ და მთელმარცვლიანი სიმინდით კვების მეთოდებში ჩასართავად.

## რატომ HENDRIX კონცენტრატი?

Hendrix კონცენტრატის მეშვეობით თქვენ გაქვთ საშუალება დროის მოკლე პერიოდში, რაც მთავარია ნაკლები დანახარჯებით, მიიღოთ პირუტყვის მაქსიმალური წონამატი;

Hendrix კონცენტრატი დამზადებულია მცენარეული წარმოშობის ნედლეულზე, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის ჯანმრთელობას და ხარისხიანი ხორცის მიღებას;

Hendrix კონცენტრატით მოხმარებელს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს საუკეთესო ხარისხის საკვები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ეფექტური გამოზრდისთვის;

Hendrix კონცენტრატის მარტივი დოზირება და სტაბილური რაციონი უზრუნველყოფს თქვენს კომფორტს.

## მოხმარების წესი:

Hendrix კონცენტრატი დამზადებულია, როგორც საკვებდანიამატი მეხორცული პირუტყვის ორ, „ტრადიციულ“\* და მთელმარცვლიანი სიმინდით კვების მეთოდებში ჩასართავად.

\*ტრადიციულ მეთოდში იგულისხმება ფერმერის ხელთ არსებული ნებისმიერი მარცვლეულით, შროტეულით და თევზით მსხვილფეხა პირუტყვის გამოზრდა.

## პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება ტრადიციულ ულუფაში ჩართვით

- პროტეინოვანი კონცენტრატი ემატება მარცვლეულითა და თევზით შედგენილ ნებისმიერ ულუფას (მარცვლეულში იგულისხმება: სიმინდი, ქერი, ქათო, ხორბალი);
- პირუტყვი გამოკვებულ მცენარეულ, მხოლოდ მარცვლეულის ნაერთს შეურიეთ პროტეინოვანი კონცენტრატი ერთ სულზე დღეში 500 გრამის ოდენობით, ნებისმიერი წონის პირუტყვისათვის;
- კონცენტრატის მოხმარების შემდეგ პირუტყვს მიანოდეთ თევზი;
- პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენების შემდეგ ნებისმიერი სახის შროტეულს (სოიოს შროტი, მგესუმირის კოპტონი) გამოიყენება აღარ არის მიზანშეწონილი;
- რეკომენდირებული დღიური 500 გრამი პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენებამდე, აუცილებელია პირუტყვის შეჩვევა ახალ საკვებთან ორი კვირის განმავლობაში. ახალ საკვებთან შეჩვევის პერიოდში პირუტყვის კვებისას გამოიყენეთ ყოველდღიურად 300 გრ. პროტეინოვანი კონცენტრატი, მეორე კვირას ყოველდღიურად 400გრ, ხოლო გარდამავალი პერიოდის (14 დღე) შემდეგ შეგიძლიათ პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება 500 გრამის ოდენობით.

## პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება მთელმარცვლიან სიმინდთან ერთად

კონცენტრატით და მთელმარცვლიანი სიმინდით პირუტყვის გამოზრდა ყველაზე ეფექტური მეთოდია. აღნიშნული კვების მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია პირუტყვის ახალ საკვებთან შეჩვევისა და გამოზრდის პერიოდის სწორი მართვა.

ახალ საკვებთან შეჩვევის პერიოდი გრძელდება 15-20 დღის მანძილზე, მოიცავს სამ ეტაპს და გულისხმობს თვის ჩანაცვლებას მთელმარცვლიანი სიმინდითა და კონცენტრატით.

(გარდამავალი პერიოდის სამი ეტაპი მოცემულია ცხრილის სახით)

ახალ საკვებთან შეჩვევის ეტაპები				
ეტაპი	დღე	კონცენტრატი %	სიმინდი %	თევზი %
1	1-5	5	25	70
2	6-10	7	43	50
3	11-15	10	60	30
4	16 დღიდან დაკვლამდე კონცენტრატი + მთელმარცვლიანი სიმინდი			
მაგალითად: პირველი ეტაპისთვის 10-კგ საკვების მოსამზადებლად 0,5-კგ კონცენტრატი, 2,5-კგ სიმინდი, 7-კგ თევზი)				

გამოზრდის პერიოდი გულისხმობს კონცენტრატითა და მთელმარცვლიანი სიმინდით პირუტყვის ნებაზე გამოკვებას გამოზრდის მთელს პერიოდში.

(მთელმარცვლიანი სიმინდის და კონცენტრატის შერევის თანაფარდობა მოცემულია ცხრილში)

გამოზრდის პერიოდში მთელმარცვლიანი სიმინდის და კონცენტრატის შერევის ცხრილი			
ეტაპი	ცოცხალი წონაკგ	კონცენტრატი %	სიმინდი %
1	70-120	20	80
2	120-180	15	85
3	180-დან დაკვლამდე	10	90

შენახვის ვადა: დამზადებიდან 9 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

შენახვის წესი: მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

შეფუთვა: 25 კგ-პოლიპროპილენის ტომარა.